- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

საწარმომ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმომ დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების ან აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს ისეთ ემპირიულ მონაცემებს, რომლებიც აქტივის მფლობელისთვის გახდება ცნობილი გაუფასურების გამომწვევი შემდეგი მოვლენების შესახებ:

(ა) ემიტენტის ან მევალის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები;

(ბ) ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მაგალითად, პროცენტის ან ძირი თანხის გადაუხდელობა, ან ვადაგადაცილება;

(გ) საწარმო, დებიტორის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, დებიტორს სთავაზობს ისეთ დათმობებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არ შესთავაზებდა;

შპს „მნ გრუპი-2021“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

(დ) როდესაც მოსალოდნელი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი; ან

(ე) ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები მათი საწყისი აღიარების შემდეგ, თუმცა ამგვარი შემცირების ოდენობის განსაზღვრა ჯგუფში შემავალი ცალკეული ფინანსური აქტივისთვის ჯერჯერობით შეუძლებელია. ამგვარ ნიშნებს განეკუთვნება, მაგალითად ქვეყნის ან რეგიონის არახელსაყრელი ეკონომიკური პირობები, ან დარგში მომხდარი არახელსაყრელი ცვლილებები.

ფინანსურ ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები პირველად აღიარდება, შესაბამისად საწარმომ ისინი უნდა შეაფასოს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება). შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა, თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით, როგორცაა, მაგალითად, საქონლის ან მომსახურების მყიდველისთვის უპროცენტო კრედიტის მიცემა, ან დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი, მაგალითად, დაქირავებული პირისთვის სესხის მიცემა უპროცენტოდ, ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

შემდგომი შეფასება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტები უნდა შეაფასოს იმგვარად, როგორც განსაზღვრულია ქვემოთ, გარიგების დანახარჯების გამოქვითვის გარეშე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ინსტრუმენტის გაყიდვისას, ან სხვა ფორმით გასვლისას: (ა) სავალო ინსტრუმენტები, უნდა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეტოდით.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, უნდა შეფასდეს გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით) იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს;

შპს „მნ გრუპი-2021“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

(ბ) სესხის მიღების ვალდებულება უნდა შეფასდეს თვითღირებულებით (რომელიც ზოგჯერ წარმოადგენს ნულს), გაუფასურების თანხის გამოკლებით;

(გ) არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებში და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციები უნდა შეფასდეს შემდეგნაირად :

- (i) თუ აქციები საჯაროდ იყიდება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ან მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვა მხრივ არის შესაძლებელი, მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, ინვესტიცია უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აღიარდეს მოგებაში ან ზარალში; და
- (ii) ყველა სხვა ამგვარი ინვესტიცია უნდა შეფასდეს თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და

10 -29 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „მნ გრუპი-2021“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფინანსური ხარჯები

კომპანიის ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო ხარჯი;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;
- საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:

- ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

კვალიფიციური აქტივის შეძენაზე, მშენებლობასა ან წარმოებაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით კაპიტალიზდება შესაბამის განსაკუთრებულ აქტივზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდით, რადგან იგი ყველაზე მეტად ასახავს აქტივიდან მიღებულ სამომავლო ეკონომიკური სარგებლის

მოსალოდნელ ათვისებას. ძირითადი საშუალებების ცვეთი განაკვეთები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

აქტივის ჯგუფი	ცვეთის განაკვეთი
შენობა-ნაგებობები	3%-10%
მანქანა-დანადგარები	10%-20%
ოფისის აღჭურვილობა	20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%

10 -29 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „მნ გრუპი-2021“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სატრანსპორტო საშუალებები	10%
კომპიუტერული ტექნიკა	20%

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი, (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ყოველწლიურად. საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდის საფუძველზე 7-8% განაკვეთით. კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდი ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილ მეთოდს და მოიცავს შეძენის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი

10 -29 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „მნ გრუპი-2021“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახადელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოძინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა; კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი; ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანიის სხვა ფინანსურ შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან. კომპანია შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას, იმ

შპს „მნ გრუპი-2021“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო მონაცემები.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

დონე 1 - იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;

დონე 2 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი და არაპირდაპირი განსაზღვრა;

დონე 3 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შესაძლებლობისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის განსაზღვრა.

3 ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიას ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან.

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	1-იან-2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	64,835	39,557	138,914
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	64,835	39,557	138,914

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	1-იან-2022
ქართული ლარი (GEL)	11,551	39,524	138,911
აშშ დოლარი (USD)	53,284	23	-
ევრო (EUR)	-	10	3
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	64,835	39,557	138,914

არ არის არსებითი განსხვავება ფულის და ფულის ეკვივალენტების სამართლიან და საბალანსო ღირებულებებს შორის.

შპს „მნ გრუპი-2021“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

4 მარაგები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	1-იან-2022
ნედლეული და მასალები	175,499	899,445	587,610
მზა პროდუქცია	4,460,103	189,493	-
დამხმარე მასალები	15,470	29,560	1,251,696
სხვა მარაგები	4,644	25,492	83,476
სულ მარაგები	4,655,716	1,143,991	1,922,781

5 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	1-იან-2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	11,860,508	647,703	74,667
გამოკლებული: საექვო მოთხოვნების რეზერვი	-	-	-
სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	11,860,508	647,703	74,667

6 წინასწარ გადახდილი ხარჯები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	1-იან-2022
მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები	1,323,090	69,655	1,043,025
სულ წინასწარ გადახდილი ხარჯები	1,323,090	69,655	1,043,025

7 საგადასახადო აქტივები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	1-იან-2022
საშემოსავლო გადასახადი	(188,907)	-	-
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(3,211,692)	-	-
დამატებული ღირებულების გადასახადი	8,539,623	-	-
ქონების გადასახადი	(117,407)	-	-
სულ საგადასახადო აქტივები	5,021,617	-	-

შპს „მნ გრუპი-2021“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

8 ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერუ ლი ტექნიკა	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	786,000	1,710,900	2,100,501	1,038	2,015,592	180,243	31,136	6,825,410
დამატება	-	3,856,940	2,090,771	2,118	12,166	137,522	-	6,099,516
გასვლა	-	-	(239,189)	-	-	-	-	(239,189)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	786,000	5,567,840	3,952,083	3,156	2,027,758	317,765	31,136	12,685,737
დამატება	-	-	6,356	550	296	-	3,869	11,070
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	786,000	5,567,840	3,958,439	3,706	2,028,053	317,765	35,005	12,696,807
დაგროვილი ცვეთა								-
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	-	-	-	-	-	-	-	-
დამატება	-	(1,405,425)	(424,556)	(451)	(423,962)	(24,900)	(6,210)	(2,285,504)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	(1,405,425)	(424,556)	(451)	(423,962)	(24,900)	(6,210)	(2,285,504)
დამატება	-	(2,408,166)	(448,085)	(703)	(425,079)	(31,776)	(6,920)	(3,320,729)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	(3,813,591)	(872,641)	(1,154)	(849,040)	(56,677)	(13,130)	(5,606,234)
ნარჩენი ღირებულება								
2022 წლის 1 იანვარს	786,000	1,710,900	2,100,501	1,038	2,015,592	180,243	31,136	6,825,410
2022 წლის 31 დეკემბერს	786,000	4,162,414	3,527,526	2,705	1,603,796	292,864	24,926	10,400,233
2023 წლის 31 დეკემბერს	786,000	1,754,249	3,085,797	2,552	1,179,013	261,088	21,875	7,090,574

- ცვეთის ხარჯი 2023 წელს 2,542,822 ლარი დაკაპიტალიზირდა წარმოებული მადნის თვითღირებულებაში (2022 წელი: 1,386,892 ლარი).

შპს „მნ გრუპი-2021“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

9 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები	
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	20,717
დამატება	500,000
გასვლა	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	520,717
დამატება	-
გასვლა	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	520,717
დაგროვილი ცვეთა	
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	-
დამატება	(184,976)
გასვლა	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	(184,976)
დამატება	(318,731)
გასვლა	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	(503,707)
ნარჩენი ღირებულება	
2022 წლის 1 იანვარს	20,717
2022 წლის 31 დეკემბერს	335,740
2023 წლის 31 დეკემბერს	17,009

შპს „მნ გრუპი-2021“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

10 მიღებული სესხები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	1-იან-2022
გადასახდელი ძირი	8,414,255	8,495,336	10,657,652
გადასახდელი პროცენტი	1,011,967	484,689	131,221
სულ მიღებული სესხები	9,426,222	8,980,025	10,788,873

2023

გრძელვადიანი ნაწილი	პერიოდი	საპროცენტო განაკვეთი	კურსი	თანხა ლარში
სხვა იურიდიული და ფიზიკური პირები	2021-2026	8%-12%	ქართული ლარი/აშშ დოლარი	5,621,100
სულ				5,621,100

მიმდინარე ნაწილი	პერიოდი	საპროცენტო განაკვეთი	კურსი	თანხა ლარში
სს თიბისი ბანკი	2021-2024	8.00%	აშშ დოლარი	3,805,122
სულ				3,805,122

2022

დასახელება	პერიოდი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	თანხა ლარში
სს თიბისი ბანკი	2021-2024	8.00%	აშშ დოლარი	4,125,880
სხვა იურიდიული და ფიზ. პირები	2021-2026	8.00%-12%	აშშ დოლარი	4,854,146
სულ				8,980,025

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	1-იან-2022
ვალდებულებები ადგილობრივი მომწოდებლების მიმართ	30,142,457	8,088,873	3,100
ვალდებულებები უცხოური მომწოდებლების მიმართ	40,549	-	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	30,183,006	8,088,873	3,100

შპს „მნ გრუპი-2021“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

12 საგადასახადო ვალდებულებები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	1-იან-2022
საშემოსავლო გადასახადი	-	94,430	7,830
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	-	351,153	(33,680)
დამატებული ღირებულების გადასახადი	-	(382,971)	147,053
ქონების გადასახადი	-	56,583	21,449
სულ საგადასახადო ვალდებულებები	-	119,195	142,651

13 საწესდებო კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 933 ლარს (2022: 933 ლარი).

14 შემოსავალი რეალიზაციიდან

	2023	2022
შემოსავალი ადგილობრივი რეალიზაციიდან	10,466,689	5,296,913
შემოსავალი უცხოური რეალიზაციიდან	44,143,140	8,485,900
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	54,609,829	13,782,813

15 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2023	2022
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (ადგილობრივი)	12,562,345	3,864,059
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (უცხოური)	43,427,052	11,225,925
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	55,989,397	15,089,984

შპს „მნ გრუპი-2021“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

16 რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	60,085	144,414
საწვავის ხარჯი	12,228	69,804
ტრანსპორტირების ხარჯი	797,373	10,214
მიწოდების სხვა ხარჯები	15,087	21,888
სულ რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	884,772	246,319

17 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
ცვეთა და ამორტიზაცია	971,217	816,633
შრომის ანაზღაურება	444,671	995,496
საგადასახადო ხარჯები	81,282	78,084
კომუნალური გადასახადები	73,196	316,801
საიჯარო ხარჯი	61,926	25,129
სამეურნეო და სარემონტო ხარჯები	46,483	267,885
საკონსულტაციო ხარჯები	8,624	19,323
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯები	7,911	40,022
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	42,987	49,939
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,738,296	2,609,312

18 არასაოპერაციო ხარჯები

არასაოპერაციო ხარჯები	2023	2022
საპროცენტო ხარჯები	1,007,328	861,470
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	50,773	508,124
სულ არასაოპერაციო ხარჯები	1,058,101	1,369,594

შპს „მნ გრუპი-2021“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

19 არასაოპერაციო შემოსავლები

არასაოპერაციო შემოსავლები	2023	2022
ვალის პატიება	26,842	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	-	281,915
არასაოპერაციო შემოსავლები	26,842	281,915

20 მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას.

სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

2023 საანგარიშგებო წლისთვის კომპანიას მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს 0 ლარს (2022: 0 ლარს).

21 გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „მნ გრუპი-2021“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

22 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ტრანზაქციები:	2023	2022	2021
ხელფასის ხარჯი	112,328	87,400	87,400
შესყიდვები	94,783	3,505,954	-
საპროცენტო ხარჯი	77,591	71,713	-
ნაშთები :	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	1-იან-2022
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,190,124	2,161,381	-
გადასახდელი ხელფასები	6,861	-	-
მიღებული სესხები	772,572	606,548	627,147
სულ ნაშთები:	2,969,557	2,767,929	627,147

23 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

კომპანიამ 2023 წლის მეორე ნახევრიდან შეწყვიტა ფეროსილიკონმანგანუმის მადნის წარმოება (გადამუშავება) და სრულად გადაერთო მადნის რეალიზაცია/ექსპორტზე.

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს მნ გრუპი-2021 -ის 2023 წლის ინდივიდუალური

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი საქმიანობა

შპს მნ გრუპი-2021, ს/ნ 405473839, მისამართი ქ. თბილისი, მარიამ უგრელიძის #6, დაფუძნდა 2021 წლის 21 ივლისს. როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირის საქმიანობის სფეროს შეადგენს ძირითადად ფეროსილიკომანგანუმის წარმოება, შემდგომ რეალიზაცია როგორც ექსპორტზე, ასევე ადგილობრივ, აგრეთვე ლიცენზიის ფარგლებში სეპარირებული წიდის მოპოვება და შემდგომ რეალიზაცია.

წარმოებული ფეროსილიკომანგანუმის გადის ძირითადად ექსპორტზე, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს არა მხოლოდ კონკრეტული რეგიონის, არამედ მთელი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებას. ხოლო ადგილობრივი კომპანიები რეალიზებულ საქონლს იყენებდნენ გადაამუშავებაში, საქონლის წარმოებაში.

მოპოვებული წიდის რეალიზაცია ხდება ასევე ადგილობრივ ბაზარზე, რომელსაც გადაამუშავებენ სილიკომანგანუმის მისაღებად.

კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს კვალიფიციური კადრების შერჩევას, თანამშრომლებისთვის სტაბილურობის უზრუნველყოფას, მოტივირებას, საოპერაციო ეფექტიანობისა და გაცემული დივიდენდების ზრდას.

კომპანიის განვითარების გეგმები

ჩვენი მისიაა, ცვალებად ბაზარზე არსებული მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება; ამისათვის ვავითარებთ გრძელვადიან და საიმედო ურთიერთობას ადგილობრივ პარტნიორებთან, რომ საერთაშორისო ბაზარზე კომპანიამ უზრუნველყოს საუკეთესო (მაღალი ხარისხის) პროდუქციის მიწოდება.

ჩვენ მკაფიოდ გვაქვს განსაზღვრული კომპანიის მიზნები და დიდი შემართებით ვცდილობთ მათ განხორციელებას.

ერთ-ერთი ძირითადი მიზანია არსებული შემოსავლის გაზრდა, რისთვისაც აქტიურად მუშაობს მარკეტინგი; ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენს ვალდებულებებს და ვიღებთ პასუხისმგებლობას თითოეულ გადადგმულ ნაბიჯზე; ჩვენი მიზანია შევთავაზოთ საზოგადოებას დასაქმების ხარისხიანი, სტაბილური სისტემა; კომპანიაში მკვეთრადაა ჩამოყალიბებული უფლება-მოვალეობები, გაწერილი პროცესების ინსტრუქციები, რაც უზრუნველყოფს საოპერაციო საქმიანობის სწორ, გამართულ და უწყვეტ პროცესს. კომპანია მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ კუთხით. პროცესების დახვეწის მიზნით ვთანამშრომლობთუცხოელ კონსულტანტებთან.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

შპს მნ გრუპი-2021 -ის საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებსაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე, არის ფინანსური რისკები. ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს შორისაა - უცხოური ვალუტის კურსი (კონტრაქტები ძირითადად ფიქსირდება ვალუტაში), საპროცენტო განაკვეთების ცვლილება, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

პროდუქტის ფასის ცვალებადობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რისკ-ფაქტორია. გასაყიდ ფასს განაპირობებს საერთაშორისო ბაზარზე არსებული ფეროშენადნობი პროდუქციის მოთხოვნა/მიწოდების მდგომარეობა (საერთაშორისო საიტი CRU INTERNATIONAL LTD). გასაყიდი ფასის მაჩვენებელიც ხელმისაწვდომია იმავე საიტზე, სადაც ყოველი თვის ბოლოს იდება

ფეროსილიკომანგანუმის გასაყიდი ფასი და ამ ფასით ხელმძღვანელობს საერთაშორისო ბაზარზე მოქმედი ყველა კომპანია.

სამართლებრივი რისკები, რაც შეიძლება წარმოიქმნას საგადასახდო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

სუბიექტს ფილიალები არ გააჩნია.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2023 წლის განმავლობაში კომპანიას არ ჩატარებია მის განვითარებასთან დაკავშირებული კვლევები.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით შეიძლება იდგეს სხვადასხვა რისკების წინაშე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან. კომპანია განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძოზიარობას.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

კომპანიის მენეჯმენტი მაქსიმალურად არის ჩართული აღნიშნული რისკების მართვასა და პრევენციაში.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

საოპერაციო გარემო

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის შეიარაღებული კონფლიქტის და რიგი ქვეყნების მიერ დაწესებულმა სანქციებმა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ გავლენა მოახდინეს არა მხოლოდ ორი ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე, არამედ გლობალურ ეკონომიკაზეც. სანქციების შედეგად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიზარდა ფასები ყველა ტიპის პროდუქციაზე, მათ შორის წარმოებისთვის აუცილებელ საქონელსა და ოპერირებისთვის საჭირო ტექნიკასა და მარაგ-ნაწილებზე. დაირღვა არსებული კავშირები რესურსების მიწოდებას შორის, ასევე ფასებზე იქონია გავლენა ინფლაციამაც. მიუხედავად იმისა, რომ ომის დაწყებიდან გავიდა გარკვეული დრო, გავლენა კვლავ იგრძნობა.

მიუხედავად კომპანიის წინაშე არსებული გამოწვევებისა და რთული ბიზნეს გარემოსი მენეჯმენტი ეფექტურად წარმართავს მის საქმიანობას.

დირექტორი

გურამ თალაკვაძე

